

## ინფორმაცია და ციფრულ რესურსებზე წვდომის გენდერული ბარიერები

დავით დვდარიანი

რედაქტორი: მაგდა ცინცაძე

### აბსტრაქტი

ნაშრომში მოცემულია საინფორმაციო და ციფრულ რესურსებზე წვდომის სფეროში არსებული ის გენდერული ბარიერები, რომლებსაც ადამიანები აწყდებიან სქესის მიხედვით, მათ შორის, ინტერნეტზე წვდომის, ციფრული წიგნიერების და ტექნოლოგიების ათვისებაში. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ქალები და გოგოები ინტერნეტზე წვდომის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების, კულტურული ნორმებისა და სისტემური უთანასწორობის გამო. ინტერნეტ ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, შემზღუდველ სოციალურ ნორმებთან ერთად, რომლებიც პრიორიტეტს კაცებს ანიჭებს, ხშირად ქალებს ციფრული განვითარების მიღმა ტოვებს. ციფრულ სივრცეში გენდერული დაყოფა აძლიერებს არსებულ უთანასწორობას, აფერხებს ქალთა უნარს მიიღონ სრულფასოვანი მონაწილეობა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების სფეროებში. უფრო მეტიც, მაშინაც კი, როდესაც ქალებს აქვთ წვდომა ინტერნეტზე, ისინი ხშირად აწყდებიან ბარიერებს ციფრული წიგნიერების საჭირო უნარების შეძენისას, რაც ონლაინ სივრცეებში ეფექტურად მოქმედებისთვის არის აუცილებელი. შედეგად, საჭირო უნარების ნაკლებობა არა მხოლოდ ზღუდავს მათ შესაძლებლობას სრულად გამოიყენონ ციფრული რესურსები, არამედ დაუცველს ტოვებს ისეთი ონლაინ რისკების მიმართაც, როგორიცაა დეზინფორმაცია, კიბერბულინგი და ციფრული შევიწროება. იმისათვის, რომ ციფრული გენდერული უფსკრული აღმოიფხვრას და ყველა ადამიანს, მიუხედავად მისი სქესისა, ციფრული ტექნოლოგიების სრული პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა მიეცეს, პირველ რიგში უნდა გადაიხედოს გენდერული ნორმები და ხელი შეეწყოს STEM სფეროებში ქალთა მონაწილეობის გაზრდას.

### შესავალი

თანამედროვე სწრაფი ტექნოლოგიების ლანდშაფტში ციფრულ ინსტრუმენტებზე და ინტერნეტზე წვდომამ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ის არა მხოლოდ მოხერხებული სივრცეა სხვადასხვა აქტივობის განსახორციელებლად და სერვისის მისაღებად, არამედ აუცილებლობას წარმოადგენს და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განათლების მიღების შესაძლებლობის, ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური და პოლიტიკური თანამონაწილეობისთვის. თუმცა, ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა არ არის ერთგვაროვანი და ციფრულ სივრცეში ხშირად ვხვდებით გენდერულ სხვაობას, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ უთანასწორობის გამაღრმავებელ ბარიერებს და მის შედეგებს, ასევე, პოტენციურ სტრატეგიებს ციფრულ სივრცეში გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

### ციფრულ სამყაროში გენდერული უფსკრულის აღმოფხვრა

ციფრულ სივრცეში გენდერული სხვაობა იმ განსხვავებაში გამოიხატება, რომელიც კაცებსა და ქალებს შორის არსებობს ციფრულ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) მონაცემებით, მსოფლიოს ყველაზე ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში ქალების მხოლოდ 19% იყენებს ინტერნეტს, კაცების 32%-თან შედარებით, რაც ხაზს უსვამს მკვეთრ უთანასწორობას, რომელიც გამოწვეულია ეკონომიკური, კულტურული და სისტემური ფაქტორებით.

### ეკონომიკური ბარიერები

ეკონომიკური ბარიერები მნიშვნელოვნად ზრდის ციფრულ სამყაროში გენდერულ უთანასწორობას. ბევრ განვითარებად ქვეყანაში ინტერნეტ სერვისებისა და ციფრული მოწყობილობების მაღალი ღირებულება ხელმიუწვდომელია მცირე შემოსავლის მქონე ოჯახებისთვის. ასეთ ქვეყნებში უფრო მეტად ქალები ზარალდებიან, ვინაიდან მათი დასაქმების შესაძლებლობა შეზღუდულია, ხოლო დასაქმების შემთხვევაში კაცებზე ნაკლები ანაზღაურება აქვთ. შესაბამისად, მწირი რესურსების პირობებში, ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის პრიორიტეტი ოჯახის მამრობითი სქესის წევრებს ენიჭება და ქალები ციფრული სივრცისგან გარიყულნი რჩებიან.

ფინანსური რესურსებზე წვდომის ამგვარი გადანაწილება უგულებელყოფს პოტენციურ სარგებელს, რაც ქალებს შეუძლიათ მიიღონ თანაბარი, მათ შორის, საგანმანათლებლო, სამეწარმეო ინიციატივებისა და დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობების შემთხვევაში.

### კულტურული და საგანმანათლებლო ბარიერები

კულტურულ ნორმებსა და ტრადიციულ გენდერულ როლებს ასევე ნეგატიური ზეგავლენა აქვს ქალთა ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომის კუთხით. ბევრ საზოგადოებაში პატრიარქალური სტრუქტურები კაცებს ანიჭებს უპირატეს წვდომას ტექნოლოგიასა და განათლებაზე, ხოლო ქალთა მობილურობასა და შესაძლებლობებს კი ზღუდავს. ეს კულტურული დინამიკა აისახება საჯარო ონლაინ სივრცეებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების შეზღუდულ ხელმისაწვდომობაზე, რაც მოსახლეობას არათანაბრად უზრუნველყოფს ციფრული წიგნიერების უნარებით და გოგოების ციფრული სამყაროსგან იზოლაციას ახდენს.

ბევრ კულტურაში ქალები წარმოდგენილები არიან ტრადიციული როლების დამცავებად. ითვლება, რომ ისინი პრიორიტეტს საყოფაცხოვრებო პასუხისმგებლობებს უფრო ანიჭებენ, ვიდრე პიროვნულ განვითარებას და ტექნოლოგიებში ჩართულობას. ეს დამკვიდრებული შეხედულებები ხშირად ხელს უშლის ან უკრძალავს ქალებს დროის გატარებას ინტერნეტ კაფეებში ან საჯარო ბიბლიოთეკებში, სადაც მათ შეუძლიათ ციფრულ რესურსებზე წვდომა. უფრო მეტიც, ასეთი კულტურის მატარებელი ქვეყნებისა და რეგიონების საგანმანათლებლო დაწესებულებები ხშირად არ უწევენ პოპულარიზაციას, ან არ უწევენ გოგონების თანაბარ ტრენინგს ციფრული წიგნიერების შესახებ, რაც ადრეული ასაკიდანვე ამძაფრებს გენდერულ განსხვავებას.

**ციფრული წიგნიერება** — ინტერნეტში ეფექტური ნავიგაციის, სანდო ინფორმაციის მოძიება და ონლაინ უსაფრთხოების ზომები — კრიტიკული უნარების ნაკრებია, რომელიც დღევანდელი ტექნოლოგიური პროგრესის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. იმ საზოგადოებებში, სადაც განათლების სისტემები არ უზრუნველყოფს ციფრული უნარების განსავითარებლად საჭირო ინფრასტრუქტურას და სასწავლო გეგმებს, ციფრულ ეკონომიკაში ეფექტიანი მონაწილეობისთვის საჭირო საბაზისო ცოდნის გარეშე ძირითადად, გოგოები და ქალები რჩებიან.

ბევრ განვითარებად ქვეყანაში საგანმანათლებლო სისტემები არასაკმარისადაა ფინანსურად მხარდაჭერილი და სათანადო რესურსებით უზრუნველყოფილი. სკოლებს ხშირად აკლია ძირითადი ციფრული უნარების შესასწავლად საჭირო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა, კომპიუტერები, ინტერნეტი. უფრო მეტიც, სასწავლო პროგრამები ყურადღებას არ ამახვილებს ციფრული წიგნიერების მნიშვნელობაზე და არც მასწავლებლები არიან სათანადოდ მომზადებული ამ უნარების გადმოსაცემად. შედეგად, გოგოები და ქალები მარგინალიზებული არიან, რადგან მათ არ აქვთ ციფრული

კომპეტენციები, რომლებიც საჭიროა კონკურენტუნარიანობისთვის ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სამყაროში.

### **მოსაზრებები უსაფრთხოების შესახებ**

ციფრული წიგნიერების ძლიერი უნარების გარეშე ქალები დაუცველები არიან კიბერბულინგის, ონლაინ შევიწროებისა და დეზინფორმაციის წინაშე. ეს საფრთხეები არა მხოლოდ ძირს უთხრის ქალთა თავდაჯერებულობას, არამედ აფერხებს მათ აქტიურ მონაწილეობას ციფრულ სივრცეში, აძლიერებს გენდერულ უთანასწორობას.

ინტერნეტი შეიძლება იყოს მტრული გარემო ქალებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვისთვისაც ახალია ციფრული პლატფორმები და არ გააჩნია მათში უსაფრთხო ნავიგაციის უნარები. ქალები ხშირად ხდებიან კიბერდაშინების, კიბერბულინგის, ადევნების და სექსუალური შევიწროების სამიზნე. ციფრული წიგნიერების ნაკლებობა ამძაფრებს ამ რისკებს, რადგან ქალებმა შეიძლება არ იცოდნენ როგორ დაიცვან თავი, როგორ შეატყობინონ, ან საერთოდ შეატყობინონ თუ არა სამართალდამცავ უწყებებს შევიწროების შემთხვევების შესახებ. მტრული გარემო ხელს უშლის ქალების ონლაინ აქტივობას და კიდევ უფრო ზრდის ციფრულ გენდერულ უფსკრულს.

### **ციფრული უთანასწორობა: ბაიტების და ბიტების მიღმა**

ციფრულ სამყაროში გენდერული უთანასწორობა სცილდება ტექნოლოგიებზე მარტივად ხელმისაწვდომობის პრობლემას. ის უფრო ფართო ზემოქმედებას მოიცავს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განზომილებებით. ამ ხარვეზის დაფარვისთვის არ არის საკმარისი მხოლოდ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, არამედ აუცილებელია ქალთა გაძლიერება ციფრული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარების განვითარების გზით.

### **ეკონომიკური გავლენა**

ციფრულ სფეროში გენდერული უფსკრულის აღმოფხვრას მნიშვნელოვანი ეკონომიკური იმპლიკაცია აქვს. GSMA-ს შეფასებით, ციფრული პარიტეტის მიღწევამ შეიძლება გამოიწვიოს 140 მილიარდი დოლარის დამატებითი შემოსავლის გენერირება მობილური ინდუსტრიისთვის. ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის სფეროში გენდერული თანასწორობა არა მხოლოდ აფართოებს ქალთა ეკონომიკურ შესაძლებლობებს, არამედ ხელს უწყობს ფართო ეკონომიკურ ზრდას.

როდესაც ქალებს თანაბარი წვდომა აქვთ ციფრულ ტექნოლოგიებზე, მათ შეუძლიათ მეტი წვლილი შეიტანონ ეკონომიკაში. ეს წვლილი გულისხმობს პროდუქტიულობის გაზრდას, მეწარმეობას და ინოვაციებს. ინტერნეტის დახმარებით ქალებს შეუძლიათ შექმნან და განავითარონ ბიზნესი, გავიდნენ ახალ ბაზრებზე და უფრო მარტივად დასაქმდნენ ონლაინ განათლებისა და ტრენინგების სფეროში. გარდა ამისა, კომპანიებისთვის იქმნება უფრო მრავალფეროვანი სამუშაო ძალა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება და ბიზნესის გაუმჯობესება. ამრიგად, ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით ქალთა ეკონომიკურმა გაძლიერებამ შეიძლება მრავალმხრივი დადებითი ეფექტი მოახდინოს საერთო ეკონომიკურ განვითარებაზე.

### **სოციალური და პოლიტიკური გაძლიერება**

ინტერნეტზე წვდომა ქალებს აძლევს პლატფორმას, რათა დაიცვან თავიანთი უფლებები, დაუკავშირდნენ თანამოაზრეებს და მონაწილეობა მიიღონ სოციალურ და პოლიტიკურ დისკუსიებში. ციფრული ინკლუზია ხელს უწყობს სოციალურ სამართლიანობას და

პოლიტიკურ პროგრესს, რაც საშუალებას აძლევს ქალებს, წვლილი შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში და თავადაც მიიღონ სარგებელი.

ინტერნეტი არის ძლიერი ინსტრუმენტი სოციალური და პოლიტიკური აქტივიზმისთვის. ციფრული პლატფორმები ფართოდ გამოიყენება გენდერული თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და სოციალური სამართლიანობის მოძრაობების ორგანიზებისა და მათში მონაწილეობისთვის. ონლაინ თემები ეხმარება ქალებს გამოცდილებისა და პრობლემების დაძლევის სტრატეგიების გაზიარებაში, უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას და სოლიდარობას. გარდა ამისა, ციფრული ტექნოლოგიები ქალებს საშუალებას აძლევს მიიღონ ინფორმაცია და რესურსები თავიანთი სოციალური და პოლიტიკური აქტივობის გასაზრდელად. ონლაინ ფორუმებში მონაწილეობით ქალებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ საჯარო პოლიტიკაზე, დაუპირისპირდნენ დისკრიმინაციულ პრაქტიკას და ხელი შეუწყონ ინკლუზიურ მმართველობას.

### **უფსკრულის გადალახვა: მოწოდება მოქმედებისკენ**

ციფრული გენდერული უფსკრულის გადალახვა მრავალმხრივ მიდგომას, კერძოდ, ინფრასტრუქტურის განვითარებას, საგანმანათლებლო რეფორმებს, კულტურულ ცვლილებებს და ონლაინ უსაფრთხოების გაძლიერებულ ზომებს მოითხოვს, რისთვისაც მთავრობის, კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების კოორდინირებული ძალისხმევაა საჭირო.

### **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება**

ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების განხორციელება და შედეგად ინტერნეტ სერვისების ღირებულების შემცირება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ციფრული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გულისხმობს ფართოზოლოვანი ქსელების გაფართოებას, განსაკუთრებით სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში, სადაც კავშირი შეზღუდულია. მთავრობისა და კერძო სექტორის თანამშრომლობა ხელმისაწვდომი ინტერნეტ სერვისების შესაქმნელად და შესანარჩუნებლად, გარდა ამისა, ქალებისათვის იაფი ან სუბსიდირებული ციფრული მოწყობილობების მიწოდების ინიციატივები ხელს შეუწყობს თანაბარ წვდომას.

### **განათლების რეფორმები**

მეტად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამების განახლება და მათში ციფრული წიგნიერების ყოვლისმომცველ ტრენინგების გათვალისწინება, მიზანმიმართულად გოგოებისთვის. STEM (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია და მათემატიკა) განათლებაზე ფოკუსირება ქალებს ციფრულ ეკონომიკაში ინტეგრირებისა და განვითარების საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურავს.

საგანმანათლებლო რეფორმები მიზნად ისახავს ადრეული ასაკიდანვე ციფრული წიგნიერების სასწავლო გეგმაში ინტეგრირებას, რაც უზრუნველყოფს ყველა სტუდენტს, განურჩევლად სქესისა, შეიძინოს საჭირო ციფრული უნარები. გოგოებისთვის STEM სფეროებში სპეციალურმა პროგრამებმა და სტიპენდიებმა შეიძლება წაახალისოს მათი ჩართულობა და მხარდაჭერა აღნიშნულ სფეროებში. მასწავლებელთა ტრენინგი ასევე გადამწყვეტია იმისთვის, რომ პედაგოგები მზად იყვნენ ციფრული კომპეტენციების ეფექტურად სწავლებისთვის. ტექნოლოგიურ კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობას შეუძლია უზრუნველყოს რესურსები და გამოცდილება ამ საგანმანათლებლო ინიციატივების მხარდასაჭერად.

## კულტურული ტრანსფორმაცია

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტრადიციული გენდერული ნორმების ტრანსფორმაცია, რაც გულისხმობს საზოგადოების დამოკიდებულებისა და სტერეოტიპების ცვლილებას გენდერული როლებისა და ტექნოლოგიების შესახებ. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიებს შეუძლიათ ყურადღება ციფრული ინკლუზიის საერთო სარგებელზე გაამახვილონ. ასევე, მნიშვნელოვანია კაცი მოკავშირეების წახალისება და მათი ჩართვა ქალთა ციფრულ მონაწილეობაში მხარდასაჭერად. კაცებს შეუძლიათ დაუპირისპირდნენ დისკრიმინაციულ პრაქტიკას მათ თემებში. ტექნოლოგიაში ქალთა მისაბაძი მოდელებისა და წარმატების ისტორიების პოპულარიზაცია შეიძლება მთამაგონებელი იყოს ციფრულ სამყაროში ქალებისა და ლიდერების შემდეგი თაობებისთვის.

## ონლაინ უსაფრთხოების უზრუნველყოფა

მნიშვნელოვანია ქალებისთვის უსაფრთხო ონლაინ გარემოს შექმნა. ეს მოიცავს კიბერ საფრთხეებისგან დაცვის უფრო ძლიერი საკანონმდებლო გარანტიების ფორმირებას, ონლაინ სივრცეში ქალთა მიმართ პატივისცემის და უსაფრთხოების კულტურის ხელშეწყობას.

ონლაინ უსაფრთხოების ზომები უნდა მოიცავდეს ძლიერ საკანონმდებლო ბაზას კიბერბულინგის, კიბერ ადვენების და ონლაინ ძალადობის სხვა ფორმების წინააღმდეგ. სამართალდამცავ ორგანოებს ესაჭიროებათ ტრენინგი ციფრულ დანაშაულებზე ეფექტური და გენდერულად მგრძობიარე რეაგირებისთვის. ციფრული თავდაცვის უნარების განვითარება დაეხმარება ქალებს გაზარდონ უსაფრთხოების დონე ონლაინ სივრცეში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ციფრულ სამყაროში პატივისცემისა და ინკლუზიურობის კულტურის დამკვიდრებისთვის ხელშეწყობა. პლატფორმებმა უნდა შეიმუშაონ და გაავრცელონ საზოგადოებრივი ქცევის სტანდარტები და უზრუნველყონ შეურაცხყოფელ და სიძულვილის ენის შემცველ შეტყობინებებზე რეაგირება.

## დასკვნა

ციფრულ სამყაროში გენდერული უთანასწორობა კრიტიკული საკითხია შორსმომავალი შედეგებით. ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო და უსაფრთხოების ბარიერების მოხსნით, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომაში, შევქმნათ უფრო ინკლუზიური და სამართლიანი ციფრული გარემო. ეს ძალისხმევა სარგებელს მოუტანს არამარტო ქალებს, არამედ ხელს შეუწყობს საერთო სოციალურ პროგრესს და ეკონომიკურ განვითარებას. სამყაროში, რომელშიც სულ უფრო მეტად ვითარდება ტექნოლოგიები, ციფრულ სივრცეში გენდერული უთანასწორობის მიღწევას გარდამტეხი მნიშვნელობა აქვს, რომლისთვისაც ნამდვილად ღირს ბრძოლა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://plan-international.org/quality-education/bridging-the-digital-divide/>
2. <https://businessfightspoverty.org/new-research-sheds-light-on-the-digital-gender-gap-the-private-sector-is-key-to-bridging-it/>
3. [https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/kg/gender\\_equality\\_in\\_digitalization.pdf](https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/kg/gender_equality_in_digitalization.pdf)
4. <https://www.unicef.org/eap/media/8311/file/What%20we%20know%20about%20the%20gender%20digital%20divide%20for%20girls%20A%20literature%20review.pdf>